



სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

სამართალი/Law

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

პროგრამის ხელმძღვანელი

ზაზა რუხაძე

დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციას, მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.

პროგრამის მოცულობა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი კვალიფიკაციის მისაღებად.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს ფართო არჩევანის შესაძლებლობას, დაეგმოს საკუთარი პროფილი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან.

არჩევით კომპონენტში შედის როგორც სასწავლო კურსები, ისე პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი.

პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტსაც.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი.

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების

რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 211 კრედიტს.

არჩევით კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 29 კრედიტს - აქედან 11 კრედიტი სავალდებულოა დააგროვოს არჩევითი საგნებიდან ზოგადი უნარების განსავითარებლად; 18 კრედიტის არჩევა სტუდენტის ინტერესზეა დამოკიდებული, მაგრამ ისე უნდა განხორციელდეს, რომ სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კომპონენტებში სტუდენტმა ჯამში 180 კრედიტზე ნაკლები არ დააგროვოს.

არჩევითი კომპონენტები მოიცავს:

სასწავლო კომპონენტს, რომელიც თავის მხრივ იყოფა: ზოგადი უნარების განსავითარებელ სასწავლო კურსებად - 28 კრედიტი, სპეციალობის სასწავლო მოდულების (კერძო/ბიზნეს სამართლის მოდული - 30 კრედიტი, სისხლის სამართლის მოდული - 30 კრედიტი, საჯარო სამართლის მოდული - 48 კრედიტი, საერთაშორისო სამართლის მოდული - 30 კრედიტი) სასწავლო კურსებად - 138 კრედიტი, დარგთაშორისი კონცენტრაციის სასწავლო კურსებად - 27 კრედიტი და გაძლიერებული ინგლისური ენის სასწავლო კურსებად - 6 კრედიტი.

კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომი)- 6 კრედიტი;

პრაქტიკულ კომპონენტს (პრაქტიკა, იურიდიული კლინიკა)- 6 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტს - 9 კრედიტი, რომლის დაგროვებაც სტუდენტს შეუძლია სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლაში ან შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

პროგრამა დარგობრივი ინგლისური ენის განსავითარებლად ითვალისწინებს ინგლისურენოვან სასწავლო კურსებს, ძირითადად მაღალ კურსებზე.

სწავლების ენა

ქართული ენა (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)

პროგრამის მიზანი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა სახელისუფლებო და თვითმმართველობის სისტემაში შემავალი და კერძო სტრუქტურებისათვის იურისტის კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

აქედან გამომდინარე, სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი

თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობების, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ასპექტების შესახებ;

- შეასწავლოს სამართლებრივი საკითხები და გამოუმუშავოს სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობისას ეფექტურად გამოყენებისა და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევის უნარი;
- გამოუმუშავოს კვლევით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- გამოუმუშავოს სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობის (შედგენა, განახლება, განმარტება და სხვა) უნარი;
- გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი;
- გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- ჩამოუყალიბოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ სამსახურსა და იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე იგი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

სწავლის შედეგები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულნი:

1. აღწერს:

- სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის ნორმას და მისი განმარტების მეთოდებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებს, ინსტიტუტებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;

- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას და თავისებურებებს, სახელმწიფო სახსრებს და მის ძირითად წყაროებს, გარემოს დაცვით ურთიერთობებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ძირითად უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შუზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს,
- ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებს, პრინციპებს და რეგულირების თავისებურებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;
- საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას;

2. განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს;

3. ამოიცნობს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს; გასცემს კვალიფიციურ იურიდიულ დასკვნებსა და კონსულტაციებს;

4. აანალიზებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

5. ადგენს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, შესაგებელი, შუამდგომლობა, შუალედური საპროცესო აქტები, სააპელაციო საჩივარი, საკასაციო საჩივარი და ა.შ.), ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

6. შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

7. მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი

გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; აქვს სამართლებრივ არგუმენტებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირების უნარი, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემის გათვალისწინებით; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

8. მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით; აყალიბებს დასკვნებს იურისტის პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით;

9. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გათვალისწინებით;

10. წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით; ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს; აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;

11. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

სწავლება-სწავლის მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული საშინაო დავალება/რეფერატი/ესე ელექტრონული რესურსით სწავლება ელექტრონული სწავლება სხვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება

სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი _ შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება

- (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის

შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. აღწერს:

- სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის ნორმას და მისი განმარტების მეთოდებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებს, ინსტიტუტებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;
- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას და თავისებურებებს, სახელმწიფო სახსრებს და მის ძირითად წყაროებს, გარემოს დაცვით ურთიერთობებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ძირითად უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს,
- ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებს, პრინციპებს და რეგულირების თავისებურებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;
- საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას;

2. განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს;

სამიზნე ნიშნული:

პირველი და მეორე სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- იმიტირებული პროცესი სისხლის სამართალში;
- იმიტირებული პროცესი სამოქალაქო სამართალში;
- საკონსტიტუციო სამართალწარმოება;
- ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი;

- ევროპის სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და პროცედურები (ინგლისურენოვანი);

რადგან ამ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით გაიზომება მათი თეორიული საბაზისო ცოდნაც და პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც.

3. ამოცნობს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს; გასცემს კვალიფიციურ იურიდიულ დასკვნებსა და კონსულტაციებს;

სამიზნე ნიშნული

- ახდენს სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირებას;
- ანვითარებს სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის თეზისს;
- მოიძიებს, განმარტავს და იყენებს შესაბამის ნორმატიულ მასალას სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად;
- მოიძიებს, განმარტავს და იყენებს საჭირო მტკიცებულებებსა და ინფორმაციას სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად;
- ასაბუთებს სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის შერჩეულ მიდგომას;
- შეიმუშავებს და გასცემს კვალიფიციურ იურიდიულ დასკვნებსა და კონსულტაციებს;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: კაზუსის ამოხსნა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, პრაქტიკა/სამართლის კლინიკა.

4. აანალიზებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

სამიზნე ნიშნული

- მოიძიებს, განმარტავს და იყენებს შესაბამის ნორმატიულ მასალას სამართლებრივი პრობლემების გადასაწყვეტად;
- მოიძიებს, განმარტავს და იყენებს საჭირო მტკიცებულებებსა და ინფორმაციას სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად;
- ადგენს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს;
- ასაბუთებს პოზიციას სამართლებრივი დავის გადაწყვეტის დროს;
- ახორციელებს კონკრეტულ იურიდიულ მოქმედებას;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: კაზუსის ამოხსნა, იმიტირებული სასამართლო პროცესი, პრაქტიკა/სამართლის კლინიკა.

5. ადგენს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი,

შესაგებელი, შუამდგომლობა, შუალედური საპროცესო აქტები, სააპელაციო საჩივარი, საკასაციო საჩივარი და ა.შ.), ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

სამიზნე ნიშნული

- ამზადებს საპროცესო დოკუმენტების პროექტებს (სარჩელი, შესაგებელი, შუალედური საპროცესო აქტები და სხვ);
- ადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების პროექტებს;
- ამზადებს სამართალშეფარდებითი აქტების პროექტებს;
- ამზადებს ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს;
- განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურას და მის შემადგენელ ელემენტებს;
- წერს ესეს, რეფერატს, საშინაო დავალებას და სხვა.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: სამართლებრივი დოკუმენტის პროექტი; ესე; რეფერატი და სხვა.

6. შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

სამიზნე ნიშნული:

- ახდენს სამართლებრივი დავის იდენტიფიცირებას და კვალიფიკაციას;
- მოიძიებს და განმარტავს შესაბამის სამართლის ნორმას;
- განსაზღვრავს დავების გადაწყვეტის სტრატეგიის და ტაქტიკის განსზღვრას;
- დავის გადაწყვეტა კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: კაზუსის ამოხსნა; იმიტირებული სასამართლო პროცესი.

7. მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; აქვს სამართლებრივ არგუმენტებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირების უნარი, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემის გათვალისწინებით; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

სამიზნე ნიშნული:

- სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ თამამად აყალიბებს და წარმოჩენს საკუთარ იდეებს;
- ახორციელებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი ფორმით კომუნიკაციას;

- ახორციელებს საკუთარი იდეების სრულად და მკაფიოდ ფორმულირებას და წარმოჩენას;
- აყალიბებს აზრს ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;
- ინფორმაციის წარმოდგენისას იყენებს იურიდიულ ტერმინოლოგიას;
- აქვს სამართლებრივ არგუმენტებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირების უნარი;
- პატივს სცემს განსხვავებულ შეხედულებებს;
- კომუნიკაციის დროს ეფექტურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების შეფასება, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კლინიკა/პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

8. მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით; აყალიბებს დასკვნებს იურისტის პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით;

სამიზნე ნიშნული:

- მოიძიებს და აანალიზებს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს;
- მოიძიებს და აანალიზებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს;
- მოიძიებს და აანალიზებს შესაბამის საკითხებზე სასამართლო პრაქტიკას და აყალიბებს დასკვნებს იურისტის პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით;
- მოიძიებს და აანალიზებს სამეცნიერო სიახლეებს და აყალიბებს დასკვნებს იურისტის პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით;
- მოიძიებს ინფორმაციას ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების შეფასება, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კლინიკა/პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

9. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გათვალისწინებით;

სამიზნე ნიშნული:

- იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს;

- მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში,
- პატივს სცემს ოპონენტის/მოწინააღმდეგის მოსაზრებებს;
- პატივს სცემს ადამიანის უფლებებს;
- მოქმედებს სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გათვალისწინებით.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: კაზუსი, სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების შეფასება, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კლინიკა/პრაქტიკა.

10. **წარმართავს** საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით; ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს; აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;

სამიზნე ნიშნული:

- აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და წარმართავს საკუთარ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას;
- აფასებს სხვების შესაძლებლობებს და წარმართავს სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას;
- აქვს გუნდში მუშაობის უნარი;
- შესაბამისად მართავს დროს;
- შესაბამისად მართავს მის ხელთ არსებულ რესურსებს;
- შეუძლია ინიციატივის მიღება, განხორციელება და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კლინიკა/პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

11. **ავლენს** საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

სამიზნე ნიშნული:

- მოიძიებს და აანალიზებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს;
- მოიძიებს და აანალიზებს შესაბამის საკითხებზე სასამართლო პრაქტიკას;
- მოიძიებს და აანალიზებს სამეცნიერო სიახლეებს;
- მოიძიებს ინფორმაციას ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით;

შეფასების მეთოდები/კომპონენტები: ესე, რეფერატი, საშინაო დავალება, სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების შეფასება, იმიტირებული სასამართლო პროცესი, კლინიკა/პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი.

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა.

დანართი 2: CV - ზაზა რუხაძე